ბრძანება:**ბ32.32222072**

თარიღი:**26/07/2022**

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" პუნქტის ,,გ.ა" ქვეპუნქტის, ,,ე" პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი" 76-ე მუხლისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის - ვუგარ მამედოვის, 2022 წლის 25 ივლისის, №04-322220632, მოხსენებითი ბარათის **გათვალისწინებით,**

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს, მარნეულის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს, განახორციელონ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაზე მუშაობა არსებული პროგრამების / ქვეპროგრამების საფუძველზე ზღვრული მოცულობების ფარგლებში.

3. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურს უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ინფორმაციის მიწოდება ზღვრული მოცულობების ჭერებისა და რიცხოვნების მითითებით, განაცხადის ფორმებზე მუშაობის დასაწყებად.

4. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია.

5. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალური გაცნობა (ოფიციალურ გაცნობად ჩაითვალოს მხარისათვის წინამდებარე ბრძანების ელექტრონული ფორმით, საქმისწარმოების სისტემის საშვალებით მიწოდება).

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქუჩა №113), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე.

კენან ომაროვი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი